

**AGRO NEWS GEORGIA****საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასთან დაკავშირებული აკრძალვა საფრთხეს უქმნის ფერმერებისათვის მიკროსესხების გაცემას**

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (საერთაშორისო გამჭვირვალობის საქართველოს ოფისი) აცხადებს, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასთან დაკავშირებული აკრძალვა საფრთხეს უქმნის ფერმერებისათვის მიკროსაფინანსო სესხების გაცემას. საუბარია 2013 წელს პარლამენტის მიერ მიღებულ მორატორიუმზე, რომელიც კრძალავს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და უცხოური კომპანიების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენას. არასამთავრობო ორგანიზაცია აცხადებს, რომ მსესხებლის მიერ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში აღნიშნული აკრძალვის გამო ბანკები და მიკრო-საფინანსო ორგანიზაციები, რომლებსაც ჰყავთ უცხოელი აქციონერები, ვეღარ შეძლებენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის/აქტივების საკუთრებაში მიღებას და/ან გაყიდვას, რომელსაც სესხის უზრუნველყოფის საშუალებად იღებდნენ მსესხებლისაგან და, შესაბამისად, ვერ აინაზღაურებენ სესხის გადაუხდელობით მიყენებულ ზიანს. არასამთავრობო ორგანიზაცია აცხადებს, რომ წელს აღნიშნულ კანონში შევიდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მომზადებული ცვლილება, რითაც ბანკებს მოეხსნათ ზემოთ აღნიშნული აკრძალვა, თუმცა მიკრო-საფინანსო ორგანიზაციები ჯერ კიდევ ექვემდებარება აღნიშნულ აკრძალვას. არასამთავრობო ორგანიზაცია აცხადებს, რომ გასაჩივრა ეს აკრძალვა იმის გამო, რომ ის დისკრიმინაციული და არაკონსტიტუციური იყო. ეს საკითხი იანვარში განიხილა საკონსტიტუციო სასამართლომ და ახლო მომავალში გამოიტანს გადაწყვეტილებას.

*DAILY NEWS, 12 მარტი, 2014*

**ევროკავშირმა გამოყო 15 მლნ ევრო მცირე ფერმერთა კოოპერატივების მხარდასაჭერად**

ევროკავშირმა ხელი მოაწერა ოთხ გრანტს საერთო 15 მილიონ ევროზე, მცირე ფერმერების მხარდასაჭერად საქართველოში ENPARD-ის (ევროპის სოფლის მეურნეობის სამეზობლო პროგრამა) ფარგლებში. ღონისძიება ჩატარდა დღეს სოფელ წინამძღვრიანთკარში (ქვემო ქართლის რეგიონი). გრანტები გადაეცა ოთხ არასამთავრობო კონსორციუმს: Oxfam (დიდი ბრიტანეთი), Care (ავსტრია), People in Need და Mercy Corps (შოტლანდია), რომლებიც გააერთიანებს დაახლოებით 16 ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციას, მათ შორის, სოფლის მეურნეობის ასოციაციების და აკადემიური ინსტიტუტების ჩათვლით. პროექტები ხელს შეუწყობს 160 კოოპერატივზე მეტის ჩამოყალიბებას ქვეყნის 45 რეგიონში შემდგომი ტექნიკური დახმარებით, განვითარების ახალი შესაძლებლობებით და პირდაპირი ინვესტიციებით. 2012 წლის დეკემბერში ხელმოწერილი ENPARD (40 მილიონი ევრო) მიზნად ისახავს საკვების წარმოების და სოფლად სიღარიბის დამლევის ხელშეწყობას. გარდა გრანტების კომპონენტისა, ENPARD ასევე უზრუნველყოფს პირდაპირ საბიუჯეტო მხარდაჭერას საქართველოს ხელისუფლებისთვის სოფლის მეურნეობის სექტორის სტრატეგიის განხორციელებაში და გამოცდილების და ცოდნის დანერგვაში სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

*DAILY NEWS, 11 მარტი, 2014*

**გადასახადები „ახრჩობს“ ცხვარს**

მეცხვარეობის ასოციაციის თავმჯდომარე ბექა გონაშვილი აცხადებს, რომ ყოფილმა ხელისუფლებამ გაზარდა გადასახადები მეცხვარეობაზე ყოველგვარი საფუძველის გარეშე. შეხვედრაზე ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურთან ასოციაციამ მოითხოვა შეიცვალოს სამოვრების გადასახადის განაკვეთები. „წარსულში მიწათსარგებლობის საფასური იყო 3 ლარი, რაც გაიზარდა ერთდროულად 500%-ით ბოლო წლების განმავლობაში. ამასთან, საფასური განსხვავდება რაიონების მიხედვით, შეადგენს 7 ლარს დედოფლისწყაროს, 5 ლარს - ახმეტის, ხოლო 16 ლარს სიღნაღის რაიონებში“, ამბობს გონაშვილი. ასოციაციის თავმჯდომარის თქმით, საფასურის ზრდა განაპირობა ცხვრის ექსპორტის ზრდამ იმ დროს, თუმცა ამჟამად ექსპორტი შემცირებულია. წარსულში ქართული ცხვრის ექსპორტი ხდებოდა ლიბიაში, კატარში, ლიბანში, სირიაში, იორდანიაში, ქუვეითში, ირანში, დუბაიში, მაგრამ ჩვენ დავკარგეთ ეს ბაზრები მაღალი ფასის გამო, ამბობს გონაშვილი. მაგალითად, 1 კგ ცოცხალი წონა გასულ წელს 2 აშშ დოლარი ღირდა სომხეთში, ხოლო საქართველოში - 4 აშშ დოლარი. გონაშვილი იუწყება, რომ საქართველოს ცხვრის წლიური ექსპორტი შეადგენს 16 მილიონ აშშ დოლარს საშუალოდ, და „მხოლოდ

აზერბაიჯანში დარჩა გასულ წელს ექსპორტის ბაზარი“. 2013 წელს საქართველომ ექსპორტზე დაახლოებით 160 000 ცხვარი გაიტანა.

*ECONOMIC PRESS MONITOR, 10 მარტი, 2014*

### **ჯერჯერობით პურის ფასის ზრდის საფუძველი არ არსებობს**

პურის მწარმოებელთა ასოციაციის თავმჯდომარე ლევან სილაგამე აცხადებს, რომ „საქართველოში არსებული ხორბლის რეზერვი შეადგენს 100 000-120 000 ტონას, რაც საკმარისი იქნება ქვეყნის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად 1-1,5 თვის განმავლობაში“. „მარცვლეული, რომლის ფასი ოდნავ გაიზარდა, შეძენილ იქნა უკრაინის კრიზისამდე და მიწოდება გრძელდება“, აღნიშნავს ის. სილაგავს თქმით, წისკვილები ყიდიან ახლა 1 ტომარა ფქვილს (50 კგ) პურის საცხობ საწარმოებზე 35 ლარად. „ეს არის მისაღები ფასი პურის მცხოვრებლებისთვის, მათ აქვთ საკმაოდ დიდი ზღვარი ამ შემთხვევაში“, ამბობს ის და ამატებს, რომ „ტომარა ფქვილის ფასი უნდა გაიზარდოს დაახლოებით 45 ლარამდე, რათა საუბარი იყოს პურის ფასის მნიშვნელოვან ზრდაზე“. უკრაინის მოვლენების მარცვლეულის ბაზარზე გავლენაზე საუბრისას, სილაგავა მიუთითებს, რომ "მოვაჭრეები თავს იკავებენ ახლა რუსულ კომპანიებთან კონტრაქტების ხელის მოწერისგან, რადგანაც მსოფლიომ შეიძლება სანქციები დაუწესოს ამ ქვეყანას, რაც შეუძლებელს გახდის მარცვლეულის იმპორტს". „მსგავსი პრობლემა არსებობს უკრაინის მიმართაც, რუსულმა სამხედრო გემებმა შეიძლება დაბლოკოს მარცვლეულის გემები ამ ქვეყნიდან“, აცხადებს პურის მწარმოებელთა ასოციაციის თავმჯდომარე და მიუთითებს, რომ მარცვლეულის იმპორტი ხელმისაწვდომია ყაზახეთიდან. თუმცა, იგი აღნიშნავს, რომ „ყაზახეთში გაუფასურდა ეროვნული ვალუტა ტენგე დაახლოებით ორი კვირის წინ, ასე რომ, ყაზახეთის ხორბლის ფასი გაიზარდა“.

*ECONOMIC PRESS MONITOR, 10 მარტი, 2014*

### **წელს ხორბლის სარეკორდო მოსავალი არის მოსალოდნელი**

სოფლის მეურნეობის სამინისტრო იმედოვნებს, რომ წლევეანდელი ხორბლის მოსავალი იქნება მინიმუმ 160 000 ტ. გასულ წელს მოსავალმა შეადგინა 90 000 ტ. წელს ახალი, მაღალმოსავლიანი ხორბლის ჯიშები დაითესა გარკვეულ ტერიტორიაზე და კარგი ამინდის შემთხვევაში მოსავალი შეიძლება აღემატებოდეს 220 000 ტონას, აღნიშნავენ სამინისტროში. დათესილმა ფართობებმა შეადგინა 80 000 ჰა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 40%-ით აღემატება. შედარებისთვის, 2003 წელს, როდესაც ხორბალი 117 000 ჰა-ზე დაითესა, მოსავალმა შეადგინა 225 000 ტ, რაც ქვეყნის მოთხოვნის 24%-ს შეადგენდა. რაც შეეხება იმპორტს, ქვეყანაში იმპორტირებული იყო 184 336 მილიონი აშშ დოლარის ხორბალი 2013 წელს, 240 მლნ აშშ დოლარის - 2012 წელს, 184 23 მლნ აშშ დოლარის - 2011 წელს, 174 156 მილიონი აშშ დოლარის - 2010 წელს, 105 506 მილიონი აშშ დოლარის - 2009 წელს.

*ECONOMIC PRESS MONITOR, 7 მარტი, 2014*

### **სადაზღვევო ასოციაციის უფროსი: სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის განვითარება დამოკიდებული იქნება სოფლის მეურნეობის წარმოების სტრუქტურის განვითარებაზე და სახელმწიფოს ჩართულობაზე**

სადაზღვევო ასოციაციის უფროსმა დევი ხეჩინაშვილმა განუცხადა სარკეს, რომ სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის განვითარება დამოკიდებული იქნება სოფლის მეურნეობის წარმოების სტრუქტურის განვითარებაზე და სახელმწიფოს ჩართულობაზე. ჩვენ ვმუშაობთ პარლამენტთან ერთად სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის დახმარების პროექტზე, რაც „გრძელვადიანი სისტემატური სამუშაოა“, აღნიშნა ხეჩინაშვილმა. ჩვენ ვგეგმავთ, რომ სახელმწიფო დაფარავს პრემიის 50-60%-ს, დასძინა მან და იმედი გამოთქვა, რომ „1 წლის განმავლობაში გონივრული სისტემა“ შეიქმნება. დღეს თბილისში გაიმართა სემინარი სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის განვითარების საკითხზე. მას ორგანიზებას უწევს შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო და მხარს უჭერს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. შეხვედრაზე Business&Finance Consulting წარმომადგენელმა Michael Kortenbusch-მა აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის დაკრედიტება გაიზარდა საქართველოში, და სესხების გარდა, არსებული დანაზოგები და დაზღვევაც ასევე მნიშვნელოვანია.

*Daily News, მარტი 7, 2014*

### **სოფლის მეურნეობის მინისტრი: მეღვინეობის კოოპერატივების დაარსება კახეთში ეფექტიანი იქნება**

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში მინისტრი შალვა ფიფია ეწვია მეღვინეობის კოოპერატივს საფრანგეთში და შაროლეს სანაშენე ფერმას ბურგუნდიის პროვინციაში. როგორც ფიფიამ განაცხადა, მეღვინეობის კოოპერატივების შექმნა საქართველოს კახეთის

რეგიონში ეფექტიანი იქნება, ხელს შეუწყობს მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას. რაც შეეხება მცირე მეცხოველეობის ფერმას, ფიფიას თქმით, ასეთი არსებობს საქართველოში. ამ ეტაპზე კომპანია გეგმავს საქონლის ექსპორტს აზერბაიჯანში, განიხილება სატრანზიტო თანამშრომლობა საქართველოსთან ამ საკითხთან დაკავშირებით. ვიზიტის ფარგლებში მინისტრი დაესწრო საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო შოუს გახსნას პარიზში, სადაც 40 ქვეყანაზე მეტი არის წარმოდგენილი.

*DAILY NEWS, 28 თებერვალი, 2014*

### **ღვინის ექსპორტი 97,1%-ით, ხოლო ყურძნის ექსპორტი - 4,4-ჯერ გაიზარდა 2013 წელს**

საქსტატმა გამოაქვეყნა 2013 წლის წინასწარი მონაცემები, რომლის მიხედვით ღვინის ექსპორტის მოცულობამ 127,85 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა და გაიზარდა 97,1%-ით 2012 წლის დაზუსტებულ მონაცემებთან შედარებით. თავის მხრივ, ყურძნის (ახალი ან გამხმარი) ექსპორტმა შეადგინა საანგარიშო პერიოდში 171 500 აშშ დოლარი (ზრდა - 4,4-ჯერ წლის განმავლობაში). უნდა აღინიშნოს, რომ ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ღვინის ექსპორტმა 2013 წელს გადააჭარბა 141,73 მილიონ აშშ დოლარს (ზრდა 97% წლის განმავლობაში), შეადგინა რა 46,75 მილიონი ბოთლი (0,75 ლ, ზრდა - 100%). როგორც სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან დავითაშვილმა განუცხადა „სარკეს“, სააგენტო ითვლის მოცულობას გაცემული სერტიფიკატების მიხედვით, ხოლო საქსტატი - საბაჟო მონაცემებით. „გარდა ამისა, ეს შეიძლება იყოს ცდომილება რამდენიმე დღით“, დასძინა მან.

*DAILY NEWS, 27 თებერვალი, 2014*

### **ციტრუსის ექსპორტი გაიზარდა 2,6-ჯერ 2013 წელს**

საქსტატის გამოქვეყნებული წინასწარი მონაცემებით, ციტრუსის ექსპორტმა 2013 წელს შეადგინა 20,19 მლნ აშშ დოლარი. 2012 წლის დაზუსტებული მონაცემებით, ექსპორტის მოცულობა გაიზარდა 2,6-ჯერ. შეგახსენებთ, რომ სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ განაცხადა, რომ 100 000 ტონა ციტრუსის მოსავალი იყო 2013 წელს (შესაბამისად, წლიური ზრდა არის 40,6%). სულ 60,000 ტონა იყო ექსპორტირებული.

*DAILY NEWS, 26 თებერვალი, 2014*

### **სასათბურე მეურნეობის პოტენციური განიხილეს EPI პროექტის ფარგლებში თბილისში**

დღეს თბილისში უმასპინძლა სასათბურე მეურნეობის მე-4 ფორუმს, რომელიც ორგანიზებული იყო EPI-ს (USAID-ის მიერ დაფინანსებული ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა) მიერ და ესწრებოდა დარგის 120 წარმომადგენელზე მეტი. EPI-ს უფროსმა ნიკა ჩაჩხიანმა განუცხადა სარკეს, რომ ქართული პროდუქცია კონკურენტუნარიანია, მაგრამ წარმადობა არ არის საკმარისი იმპორტის ჩასანაცვლებლად. მისი თქმით, სასათბურე მეურნეობა საჭიროებს დიდ ინვესტიციებს, თუმცა, იმ სათბურების საერთო ფართობი, რომლებიც აღჭურვილია გათბობის სისტემებით, გაიზარდა 6-დან 32 ჰა-მდე 2010-2014 წლებში. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ დავით ნატროშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული ზრდის ძირითადი დამფინანსებელი იყო 2013 წლის შეღავათიანი აგროსესხების პროგრამა. ქვეყნის შიდა მოხმარება მარტო არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სექტორი გაიზარდოს, აუცილებელია გაიზარდოს პროდუქციის ხარისხი და ექსპორტი, განაცხადა ჩაჩხიანმა.

*DAILY NEWS, 25 თებერვალი, 2014*

### **არსებობს თუ არა სასოფლო-სამეურნეო მიწების უპირობო იჯარით გაცემის სარფთხე?**

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონში მიღებული ცვლილებების შემდეგ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განაახლა სასოფლო-სამეურნეო მიწების გრძელვადიანი იჯარით გაცემა. ეს პროცესი შეჩერებული იყო 2005 წლიდან. უცხოელები, რომლებსაც აკრძალული აქვთ მიწის შეძენა 2015 წლამდე, ასევე შეძლებენ ისარგებლონ იჯარით. მიწის უპირობო იჯარა მიუღებელია ექსპერტ პაატა კოლუაშვილისთვის. მოიჯარეებმა უნდა წარმოადგინონ სამოქმედო გეგმა, უნდა ჰქონდეთ გამოცდილება და საწყისი კაპიტალი, აცხადებს იგი და დასძენს: მიწა არ უნდა გაიცეს ქვე-იჯარით და არ უნდა გახდეს სპეკულაციის საგანი. თავის მხრივ, პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი აცხადებს, რომ მთავარი პირობა არის ის, რომ მოიჯარემ უნდა გამოიყენოს მიწა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, არ დააბინძუროს და არ გამოიყენოს ზედმეტი ქიმიკატები.

*ECONOMIC PRESS MONITOR, 25 თებერვალი, 2014*

## **ქართულ თხილს ხარისხის პრობლემა აქვს**

ალექსანდრე მოწერელია, თხილის გადამამუშავებელთა და ექსპორტიორთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე, აცხადებს, რომ საქართველო თხილის 99%-ს ექსპორტზე უშვებს. ერთადერთი უპირატესობა, რაც ქართულ თხილს შეიძლება ბაზარზე ჰქონდეს - დაბალი ფასია. ჩვენი ფერმერები თხილს ძალიან ცუდად ინახავენ და სათანადოდ ვერ ამრობენ, რაც თხილის ხარისხს უქმნის პრობლემას: ობი და ფარული სიდამპლე ქართულ თხილში ხშირად გვხვდება, აღნიშნავს მოწერელია. ირინა ჯავახაძე, საქართველოს თხილის გადამამუშავებელთა და ექსპორტიორთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, აღნიშნავს, რომ როგორც წესი, დარჩეული თხილი გადის ექსპორტზე, რაც დაურჩეველი თხილის ფასსაც განსაზღვრავს. თხილის ექსპორტი სექტემბრიდან იწყება, თებერვლის მიწურულს მოსავლის 80% უკვე გაყიდულია. ჯავახაძე ამბობს, რომ მსოფლიო ბაზარზე თურქეთია ფასების განმსაზღვრელი და ამჟამად გარჩეული თხილის ფასი შემცირებულია: 1 კილოგრამი თურქული გარჩეული თხილი 6,30 დოლარი ღირს, ხოლო ქართული - 6,20-6,10 აშშ დოლარი.

*ECONOMIC PRESS MONITOR, 24 თებერვალი, 2014*

## **რძის წარმოება ოდნავ გაიზარდა 2013 წლის მე-4 კვარტალში**

საქსტატმა გამოაქვეყნა 2013 წლის მე-4 კვარტლის წინასწარი მონაცემები, რომლის თანახმად რძის წარმოებამ შეადგინა 101,5 მილიონი ლ. 2013 წლის ამავე პერიოდთან შედარებით ზრდა არის 0,6%. ხორცის წარმოება 16 300 ტ, რაც 6,9%-ით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელზე. კვერცხის წარმოებამ შეადგინა 151,1 მილიონი აშშ დოლარი და შემცირდა 0,3%-ით. დაზუსტებული მონაცემები უნდა გამოქვეყნდეს 16 ივნისს.

*DAILY NEWS, 19 თებერვალი, 2014*

## **მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა 9,7%-ით გაიზარდა 2013 წლის მე-4 კვარტალში**

საქსტატის მიერ გამოქვეყნებული წინასწარი მონაცემებით, 2013 წლის მე-4 კვარტალში მსხვილფეხა საქონლის რაოდენობამ 1,24 მილიონი შეადგინა. 2012 წლის ამავე პერიოდთან შედარებით ზრდა 9,7%-ია. თხის და ცხვრის რაოდენობამ 767 300 შეადგინა, რაც 3%-ით მეტია წინა წელთან შედარებით, ღორების რაოდენობა 216 700 და 6%-ით გაიზარდა. ფრინველის რაოდენობამ 6,51 მილიონი შეადგინა, რაც 5,7%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. დაზუსტებული მონაცემები უნდა გამოქვეყნდეს 16 ივნისს.

*DAILY NEWS, 19 თებერვალი, 2014*

## **შეღვათიანი აგროკრედიტის ფარგლებში ახალი საწარმო დაფინანსდა**

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით 535 ათასი აშშ დოლარის სესხი გაიცა საწარმო „საბუდარაზე“ შეღვათიანი აგროკრედიტის ფარგლებში. ამ სესხით საწარმომ დაასრულა ინკუბატორის და საკვების მოსამზადებელი საწარმოს მშენებლობა - გადაიარაღება სოფელ კრწანისში (თბილისთან ახლოს) და ახალი ტიპის საქმიანობა - მარცვლეულის გადამამუშავება - დაიწყო. სამინისტროს ცნობით, კომპანია არა მარტო საკუთარ მოთხოვნას დააკმაყოფილებს გადამამუშავებული მარცვლეულით, არამედ საკუთარი წარმოების გარდა, 200-მდე მეწარმეს მოამარაგებს. კომპანია 77 000 კვერცხს აწარმოებს დღიურად, განაცხადეს სამინისტროში. კომპანიის წარმოებულმა კვერცხმა იმპორტი ნაწილობრივ ჩაანაცვლა და საწარმომ ექსპორტზე მუშაობაც დაიწყო. სომხეთში უკვე გაგზავნილია საცდელი პარტია და რეგულარული ექსპორტი უნდა დაიწყოს უახლოეს მომავალში. სამინისტროს უახლესი ინფორმაციით, შეღვათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში 264,17 მილიონი ლარი გაიცა. ამ თანხიდან 47,6 მილიონი გაიცა მე-3 კომპონენტის ფარგლებში (სოფლის მეურნეობის ახალი საწარმოს შექმნა ან ძველის გადაიარაღება) 409 ბენეფიციარზე (მათ შორის 63 ახალ საწარმოზე).

*Daily News, 18.02.2014*

## **ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების „მუკუზანი“ ზონა ფართოვდება**

საქპატენტის, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის, ცნობით ღვინის ადგილწარმოშობის დასახელება „მუკუზანის“ დაფარვის ზონა გაფართოვდება და ახაშენი და ჩუმლაყი დაემატება მუკუზანის, ზეგანის და ველისციხის ზონებს. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და ღვინის ეროვნულმა სააგენტომ უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტი საქპატენტში. მუკუზანი არის წითელი, მშრალი ღვინო, რომელიც მზადდება კახეთის რეგიონში. დღეის მდგომარეობით, დასახელება „მუკუზანი“ საქპატენტის მიერ უკვე დარეგისტრირებულია აშშ-ში, ევროკავშირში, ყაზახეთსა და ბელორუსში. ასევე, რეგისტრაციის პროცესი მიმდინარეობს რუსეთსა და ჩინეთში.

*DAILY NEWS, 17 თებერვალი, 2014*

## კვირის პალიტრა: „მეორე შანსი“ მცირემიწიანი ფერმერებისთვის

მცირემიწიანი ფერმერების დახმარების პროექტის მენეჯერი დავით კიკნაძე მოგვითხრობს, რომ თითოეული ფერმერი იღებს 50 ქულას პროექტის ფარგლებში გაცემულ აგრობარათზე (1 ქულა შეესაბამება 1 ლარს), რომლითაც მათ შეუძლიათ შეიძინონ სასუქი და თესლი. ბარათებს გასცემს ლიბერთი ბანკი. გარდა ამისა, კიკნაძე აცხადებს, რომ ე.წ. მიწის დამუშავების ბარათი ითვალისწინებს 140 ლარს თითო 1 ჰა-ზე. გასულ წელს ჩვენ გავანაწილეთ ინვენტარი, რომლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 53 მილიონი ლარი, მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ გავიმეოროთ იგივე ამ წელს, აღნიშნავს იგი. ფერმერები უკმაყოფილონი არიან ღირებულების შემცირებით შარშანდელთან შედარებით, მიუთითებენ, რომ 190 ლარი საკმარისი არ არის საგაზაფხულო სამუშაოებისთვის. გაზეთი აღნიშნავს, რომ 3 წლიანი პროექტის ფარგლებში დაახლოებით 100 მილიონი ლარი დაიხარჯა გასულ წელს, მაშინ, როდესაც ამ წლის ბიუჯეტი დაახლოებით 90 მილიონი ლარია და დახმარება გაეწევა თითქმის 800 000 ფერმერს (1,25 ჰა-მდე მიწის მფლობელები). პროექტი დაფინანსებულია სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის მიერ.

*ECONOMIC PRESS MONITOR*, 17 თებერვალი, 2014

## AGRO NEWS ARMENIA

### სომხეთი ზრდის შინაური პირუტყვის რაოდენობას

ყველა სახის პირუტყვის რაოდენობა, ღორების გარდა, გაიზარდა სომხეთში. სომხეთის რესპუბლიკის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემებით 2014 წლის 1 იანვრიდან პირუტყვის რაოდენობა გაიზარდა 2,5%-ით და მიაღწია 677 584, აქედან 309 616 ძროხაა. ღორების რაოდენობა შემცირდა 3,6%-ით და 139 799 გახდა, ცხვარის და თხის რაოდენობა გაიზარდა 6,3%-ით და მიაღწია 717 574-ს, აქედან 30 500 თხაა. Armenpress-ის ინფორმაციით, სომხეთის წამყვანი რეგიონი პირუტყვის რაოდენობით არის გელარქუნიქის პროვინცია (115 619), შემდეგ მოდის შირაკის (107 097) და არაგაცოტნის პროვინციები (85 263). 2014 წლის 1 იანვრისთვის ერევანში 3 750 მსხვილფეხა პირუტყვი იყო რეგისტრირებული.

*ერევანი, 11 მარტი, ARMENPRESS*

### სომხეთში ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტი სამჯერ გაიზარდა წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით

სომხეთმა ექსპორტზე 7 500 ტონა ახალი ხილი და ბოსტნეული გაიტანა წლის პირველი ორი თვის განმავლობაში - სამჯერ მეტი, ვიდრე წინა წლის ანალოგიურ პერიოდში, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე რობერტ მაკარიანმა ჟურნალისტებს განუცხადა. საინფორმაციო სააგენტო Arka-ს კითხვაზე მან განაცხადა, რომ რუსეთი, საქართველო, ერაყი და არაბეთის გაერთიანებული საემიროები სომხეთის ახალი ხილის და ბოსტნეულის ყველაზე დიდი იმპორტიორებია. მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ სომხეთის ახალი ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტმა შეადგინა 64 500 ტონა 2013 წელს - ორჯერ მეტი, ვიდრე 2012 წელს. მისი თქმით, სამინისტრო ამჟამად მოიპოვებს ინფორმაციას ბოსტნეულის და ხილის იმ რაოდენობის შესახებ, რომლის შემენაც სურთ ქვეყნის საკონსერვო ფაბრიკებს წელს. მისი თქმით, საბოლოო ციფრები გახდება ცნობილი 20 მარტს. სომხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, გარგარის ექსპორტმა აჩვენა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ყველა სახის ახალ ხილს შორის (23 000 ტონა 2013 წელს 2012 წლის 12 000 ტონასთან შედარებით). სომხეთმა ასევე ექსპორტზე გაიტანა 6 800 ტონა ყურძენი, 980 ტონა ატამი, 633 ტონა ვაშლი, 610 ტონა კენკრა და 27 000 ტონა ბოსტნეული, 20 500 ტონა კარტოფილი.

*წყარო: arka.am*

### სოფლის მეურნეობის სამინისტრო: 100 ბელორუსული ტრაქტორი შემოიტანეს სომხეთში ამ წლის დასაწყისში

დაახლოებით 100 ტრაქტორი იყო იმპორტირებული სომხეთში ბელორუსიდან ამ წლის დასაწყისიდან, სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე რობერტ მაკარიანმა განაცხადა პრეს-კონფერენციაზე. „ტრაქტორების ახალი პარტია გაიყიდება და იჯარით გაიცემა რამდენიმე დღეში შესაბამისი საბაჟო დოკუმენტების გაფორმების დასრულების შემდეგ“, განაცხადა მან. მაკარიანმა ასევე განაცხადა, რომ 120 ბელორუსული ტრაქტორი იმპორტირებული იყო სომხეთში 2013 წელსაც. 2013 წლის

დეკემბერში, სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ გრიშა ბადიანმა განაცხადა, რომ ბელორუსიდან სომხეთში ჩამოტანილი იქნება 400 ტრაქტორი 2014 წელს. სომხეთში 14 683 ტრაქტორი და 1 362 მოსავლის ასაღები მანქანა იყო 2013 წლის იანვრის დასაწყისში.

*ერევანი, 5 მარტი. /Arka*

### **სომხეთი გეგმავს სოფლის მეურნეობის დაზღვევის პროგრამის დაწყებას**

სომხეთი გეგმავს სოფლის მეურნეობის დაზღვევის საპილოტე პროგრამას, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ სამველ გალციანმა განაცხადა პრეს-კონფერენციაზე. პროგრამა შეიძლება დაიწყოს ამ წელიწადში. სადაზღვევო კომპანიამ მასში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა და მოლაპარაკებები კომპანიასთან ამჟამად მიმდინარეობს, განაცხადა მინისტრის მოადგილემ. „თუ მივაღწევთ შეთანხმებას, პირველი პროექტი განხორციელდება მესაქონლეობის დარგში“, აღნიშნა მან. სექტორის სადგურების თემაზე საუბრისას ს. გალციანმა თქვა, რომ 80 ახალი სადგური დამონტაჟდება წელს სომხეთის არმავირის, არარატის, არაგაცოტის და ლორის პროვინციებში.

*05.03.2014, Aysor.am*

### **სომხეთის თევზის მეურნეობები ცდილობენ ექსპორტის დაწყებას ევროპაში**

სომხეთის თევზის მეურნეობები ცდილობენ პროდუქციის ექსპორტის დაწყებას ევროპის ბაზრებზე, განაცხადა სომხეთის თევზის მეურნეობების ასოციაციის უფროსმა არტურ ატოიანმა. სომხეთის სურსათის უვნებლობის სამსახური ამჟამად ავითარებს ადგილობრივი თევზის პროდუქტების ევროპული ბაზრის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის პროგრამას. ევროპელი ექსპერტები ეწვევიან სომხეთს ამ ზაფხულს და სომხური თევზის პროდუქტების ექსპორტი შეიძლება დაიწყოს უკვე სექტემბერში, განაცხადა ატოიანმა. მიმდინარეობს სამუშაოები, რომლებიც ითვალისწინებს შავი ხიზილალის, კალმახის და ზუთხის ექსპორტს ევროპაში, განაცხადა მან Arka-სთან. ატოიანმა ასევე განაცხადა, რომ სომხეთის თევზის მეურნეობები სერიოზული გამოწვევის წინაშე დგანან, რათა უზრუნველყონ რუსეთის ფედერაციის მოთხოვნებთან შედარებით საკმაოდ მკაცრ ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობა. კერძოდ, თევზის მეურნეობებმა უნდა აჩვენონ, რა პირობებში იყო თევზი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში. ექსპორტის მოცულობა დამოკიდებული იქნება მოთხოვნაზე, განაცხადა ასოციაციის ხელმძღვანელმა. ატოიანმა აღნიშნა, რომ თევზის მეურნეობებს მხარდაჭერა ჭირდება მთავრობის მხრიდან, რათა აწარმოონ ექსპორტი და შექმნან პროდუქცია. რიგი პრობლემები ახლახანს შეიქმნა თევზის მეურნეობებში სომხეთში, მაგალითად, ათჯერ გაიზარდა წყლის ფასი, განაცხადა მან. ლიცენზია არის საჭირო თევზის მეურნეობებისთვის ამიერიდან, რაც გულისხმობს დამატებით ხარჯებს, განაცხადა ატოიანმა. მთავრობის 2013 წლის სექტემბრის განკარგულებით, თევზის მეურნეობები უნდა გადავიდნენ წყლის მიწოდების ნახევრად დახურული ციკლის რეჟიმზე, რათა უზრუნველყონ წყლის რესურსების ეფექტური გამოყენება და ხარჯების შემცირება. მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად თევზის მეურნეობებმა უნდა დააყენონ ახალი ტექნოლოგიები, რომლის ღირებულება 700 000-დან 1,5 მილიონამდეა თევზის მეურნეობის სიდიდის მიხედვით. სომხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, თევზის წარმოება წინა წელთან შედარებით გაიზარდა 2 800 ტონით და გახდა 11 600 ტონა 2013 წელს.

*ერევანი, 5 მარტი. Arka*

### **სომხეთი ამცირებს ბრინჯის და მარცვლეულის იმპორტს**

მარცვლეულის იმპორტის მოცულობა სომხეთში შემცირდა 26,24%-ით გასულ წელს 2012 წელთან შედარებით და გახდა 1 595,7 ტონა. ბრინჯის იმპორტი შემცირდა 1,36%-ით და მიაღწია 10 271,5 ათას ტონას. იმპორტირებული მარცვლეულის საერთო საბაჟო ღირებულებამ შეადგინა 1,1 მილიონ აშშ დოლარზე მეტი წინა წელს, ხოლო იმპორტირებული ბრინჯის საერთო საბაჟო ღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 7 მილიონი დოლარი. სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო შემოსავლების სამსახურის მონაცემებით გასულ წელს ჩვენს ქვეყანაში ბრინჯის ძირითადი ნაწილი იმპორტირებული იყო ტაილანდიდან (4,9 ათასი ტონა) და პაკისტანიდან (2,8). სომხეთში იმპორტირებული მარცვლეულის საერთო მოცულობის 65,4% 1 44 ტონა არის ჩინეთიდან. მარცვლეული იქნა იმპორტირებული სომხეთში ასევე რუსეთიდან, უკრაინიდან, სირიიდან და სხვა ქვეყნებიდან. 10 413,2 ტონა ბრინჯი და 2 163,4 ტონა მარცვლეული იქნა იმპორტირებული სომხეთში 2012 წელს.

*Quelle: Armenpress, 28.02.14*

## **Oxfam GB - სომხეთი იწყებს 600 000 ევროს ღირებულების პროექტს, რათა გააუმჯობესოს სურსათის უსაფრთხოების უზრუნველყოფა სამხრეთ კავკასიაში**

Oxfam GB სომხეთმა დაიწყო დღეს 600 000 ევროს ღირებულების პროექტი, რომლის მიზანია გააუმჯობესოს რეგიონული სასურსათო უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში ეროვნული სტრატეგიების და მცირე საწარმოების განვითარების მეშვეობით. მარგარიტა ჰაკობიანმა, Oxfam GB - სომხეთის ხელმძღვანელმა, ცერემონიის გახსნისას განაცხადა, რომ პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ახორციელებს Oxfam სომხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით. მისი თქმით, ამ ოთხწლიანი პროგრამის მიზანი არის, რომ მცირე ფერმერები, განსაკუთრებით ქალი ფერმერები, ჩართული იყვნენ სურსათის უსაფრთხოების სტრატეგიის საკითხებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროცესის გამჭვირვალობა. მისი თქმით, სურსათის უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიის რეგიონში ამ ათასწლეულის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია და ამიტომ ევროკავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამ საკითხს. ის ახორციელებს მსგავს პროექტებს ასევე საქართველოსა და აზერბაიჯანში. მან ასევე გამოთქვა რწმენა, რომ პროექტი არა მხოლოდ გაამდიერებს სურსათის უსაფრთხოების უზრუნველყოფას ქვეყანაში, არამედ გაზრდის ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციას.

*ერევანი, 28 თებერვალი. Arka*

## **სომხეთი ზრდის ჯემის, ჟელეს და ხილფაფების ექსპორტსა და იმპორტს**

ჯემის, ჟელეს და ხილფაფების ექსპორტი სომხეთის რესპუბლიკიდან 2013 წელს გაიზარდა 41%-ით და შეადგინა 967,8 ტონა, საერთო საბაჟო ღირებულებით, რომელიც აღემატება 1,5 მლნ აშშ დოლარს. სომხეთის მთავრობის სახელმწიფო შემოსავლების კომიტეტის მონაცემებით ამავე დროს, 2013 წელს 2012 წელთან შედარებით, ჯემის, ჟელეს და ხილფაფების იმპორტი რესპუბლიკაში გაიზარდა 36,2 %-ით და გახდა 313 ტონა. Armenpress-ის ინფორმაციით, ჯემის, ჟელეს და ხილფაფების ექსპორტი სომხეთის რესპუბლიკიდან, განხორციელდა რუსეთის ფედერაციის, ამერიკის შეერთებული შტატების, ყაზახეთის, უკრაინის და სხვა ქვეყნების მიერ. აღნიშნული პროდუქცია იმპორტირებულია სომხეთში ძირითადად ინდოეთიდან, ეკვადორიდან, ჩილედან და საბერძნეთიდან. 2012 წელს 686,4 ტონა ჯემი, ჟელე და ხილფაფა იქნა ექსპორტირებული სომხეთის რესპუბლიკიდან და 229,7 ტონა იქნა იმპორტირებული.

*ერევანი, 28 თებერვალი, ARMENPRESS*

## **მთავრობა EcoTomato-ს და ბიო კომპანიებს დღგ-ს გადაუვადებს**

სომხეთის მთავრობამ დღეს დღგ-ს გადახდის გადავადების უფლება მისცა EcoTomato-ს და ბიოჯგუფის კომპანიებს 2017 წლის თებერვლამდე, რადგანაც მათ პირობა დადეს, რომ 300 მლნ დრამის ღირებულების ტექნიკის იმპორტს განახორციელებდნენ. დღგ-ს გადავადების უფლება ეძლევათ იმ კომპანიებს, რომლებიც 300 მილიონ დრამზე მეტი ღირებულების თანამედროვე ტექნიკის ან ტექნოლოგიების იმპორტირებას მოახდენენ საწარმოს გასაფართოებლად და მოდერნიზაციისთვის. Ecotomato დაარსდა 2011 წელს და მოჰყავს ჰოლანდიური ვარდები ორ ჰექტარზე სათბურებში, თუმცა, იმის გამო, რომ მზარდი მოთხოვნა ყვავილებზე ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, კომპანიამ გადაწყვიტა ააშენოს მეორე სათბური 3 ჰექტარზე. ბიოჯგუფი, რომელიც დაარსდა 2013 წელს, ჩართულია კიტრის და პომიდორის მოყვანაში დიდ სათბურში მოწინავე ჰოლანდიური ტექნოლოგიების გამოყენებით. მოსალოდნელია, რომ ის ყოველწლიურად დაახლოებით 700 მილიონი დრამის პროდუქციას აწარმოებს. პროდუქცია გავა რუსეთში, საქართველოში და არაბთა გაერთიანებულ საემიროებში.

*27 თებერვალი, Arka*

## **სომხეთი ზრდის ძეხვის ექსპორტს საქართველოში**

ძეხვის ექსპორტი სომხეთის რესპუბლიკიდან საქართველოში 2013 წელს გაიზარდა 17%-ით 2012 წელთან შედარებით და 271,6 ტონა შეადგინა. ძეხვეულის ექსპორტის საერთო საბაჟო ღირებულებამ საქართველოში 1,5 მლნ დოლარს გადააჭარბა. სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო შემოსავლების კომიტეტის მონაცემებით 2012 წელს 232,1 ტონა ძეხვის ექსპორტი მოხდა საქართველოში. Armenpress-ის ინფორმაციით, 2013 წელს ძეხვი იქნა ექსპორტირებული ჩვენი რესპუბლიკიდან ასევე თურქმენეთში (94,4 ტონა). 2013 წელს 367 ტონა ძეხვი იქნა მთლიანად ექსპორტირებული სომხეთიდან, რაც 2012 წლის მაჩვენებელზე 57%-ით (233,8 ტონა) მეტია. 4 757 ტონა ხორცის პროდუქცია იქნა წარმოებული სომხეთში 2013 წელს (მათ შორის ძეხვი), რაც 2012 წლის მაჩვენებელს 1,8%-ით აღემატება.

*27 თებერვალი, ARMENPRESS*

### **სომხეთში იზრდება ყვავილების ექსპორტი**

ყვავილების და კოკრების ექსპორტი სომხეთის რესპუბლიკაში 2013 წელს 2012 წელთან შედარებით გაიზარდა დაახლოებით 52,4%-ით და 3 მილიონ 742 800 ცალი შეადგინა. ექსპორტირებული ყვავილების საერთო საბაჟო ღირებულებამ გადააჭარბა 2 მილიონ აშშ დოლარს. სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო შემოსავლების კომიტეტის მონაცემების მიხედვით ამავე დროს იმპორტირებული ყვავილების და კოკრების მოცულობა სომხეთში 2013 წელს 2012 წელთან შედარებით შემცირდა დაახლოებით 44%-ით და შეადგინა 630 600 ცალი. Armenpress იუწყება, რომ ყვავილების და კოკრების ექსპორტის ძირითადი ნაწილი 2013 წელს შექმნილ იქნა რუსეთის ფედერაციის მიერ (2 მილიონ 826,2 ათასი ცალი). 2012 წელს 2 მილიონ 456 000 ცალი ყვავილის და კოკრის ექსპორტირება მოხდა სომხეთიდან და 1 მილიონ 124,5 ათასი იქნა იმპორტირებული.

*ერევანი, 26 თებერვალი, ARMENPRESS*

### **სომხეთიდან ზოგიერთი ხილის ექსპორტი იზრდება**

ნესვის, საზამთროს, ვაშლის, მსხლის და კომშის ექსპორტი სომხეთის რესპუბლიკიდან გაიზარდა და იმპორტი შემცირდა. 2013 წელს 2012 წელთან შედარებით ნესვის და საზამთროს ექსპორტი რესპუბლიკიდან გაიზარდა 93%-ით, და 835,9 ტონა შეადგინა, ვაშლის, მსხლის და კომშის ექსპორტი გაიზარდა 13,6-ჯერ და 564,4 ტონა შეადგინა. Armenpress იუწყება, რომ სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო შემოსავლების კომიტეტის მონაცემების მიხედვით 2013 წელს ნესვის, საზამთროს, მსხლის და ვაშლის ექსპორტი სომხეთიდან შექმნილ იქნა საქართველოსა და რუსეთის მიერ.

*ერევანი, 25 თებერვალი, ARMENPRESS*

### **სომხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრო მევენახეობის სტრატეგიას ავითარებს**

სომხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრო მევენახეობის სტრატეგიას ავითარებს, აცხადებს სამინისტროს პრეს-სამსახური. სამინისტრომ განიხილა სტრატეგია შეხვედრაზე მევენახეებთან, მეღვინეებთან და მეცნიერებთან. ანგარიშის მიხედვით, მიუხედავად აღდგენის ბოლოდროინდელი ტენდენციისა, ღვინის სექტორი ჯერ კიდევ საჭიროებს კოორდინირებულ მიდგომას და ახალ სტრატეგიას. სტრატეგია განსაზღვრავს სახელმწიფო მხარდაჭერის საშუალებებს, რათა უზრუნველყოფილ იყოს წარმოების და გადამუშავების ზრდა. შეხვედრის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს სამართლებრივი ჩარჩოების და ზედამხედველობის გაუმჯობესების საკითხებს და ფილოქსერას (viticide) საწინააღმდეგო ღონისძიებების მნიშვნელობას. მონაწილეთა თქმით, სტრატეგია წარმატებულია ზოგადად, მაგრამ უნდა გაუმჯობესდეს და დასრულებული სახე მიეცეს. კერძოდ, დაუყოვნებლივ უნდა გაკეთდეს ვენახების ინვენტარიზაცია და უნდა გაირკვეს მოთხოვნა ყურძნის ჯიშებზე, განაცხადდეს მათ. სტრატეგია უნდა შეიცავდეს ძლიერ ზომებს ფილოქსერას წინააღმდეგ. მონაწილეთა თქმით, ადგილობრივი ჯიშების კოლექცია უნდა შეიქმნას და სტრატეგიის განხორციელების სახსრების საკითხი უნდა გაირკვეს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, ყურძნის შემოსავალმა შეადგინა 240 900 ტონა სომხეთში 2013 წელს, რაც უმნიშვნელო კლებას წინა წელთან შედარებით.

*ერევანი, 24 თებერვალი. / Arka*

### **სოფლის მეურნეობის მინისტრი დარწმუნებულია, რომ თევზის წარმოება გაიზრდება**

სომხეთის რესპუბლიკას აქვს შესაძლებლობა, რათა თევზის წარმოების მოცულობა მიმდინარე 11 000 ტონიდან 70 000 ტონამდე გაზარდოს წელიწადში. სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გრიშა ბალიანმა ამის შესახებ დღეს 24 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. „ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია ითვალისწინებს ზრდას 25 000 ტონამდე. ზოგადად, ჩვენ შეგვიძლია 70 000 ტონას მივაღწიოთ და გავყიდოთ თევზი და თევზის პროდუქტები რუსეთის ფედერაციასა და საბაჟო კავშირის სხვა ქვეყნებში“, - განაცხადა ბალიანმა და დასძინა, რომ 70 000 ტონა თევზი შეიძლება გაიყიდოს დიდ ქალაქებში რუსეთის ფედერაციაში ერთ თვეში, წერს Armenpress. 2013 წელს 2012 წელთან შედარებით, თევზის ექსპორტი რუსეთში სომხეთიდან გაიზარდა 32%-ით და შეადგინა 2 193 ტონა. 2013 წელს 2 ათას 142,2 ტონა გაყინული და 9,8 ტონა ცოცხალი თევზი იქნა იმპორტირებული სომხეთის რესპუბლიკაში.

*ერევანი, 24 თებერვალი, ARMENPRESS*

### **სათესლე მეურნეობის ახალი 459 000 აშშ დოლარის პროექტი დაიწყო სომხეთში**

459 000 აშშ დოლარის ახალი პროგრამა დაიწყო სომხეთში ბოსტნეულის სათესლე მეურნეობის მხარდასაჭერად, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წარმომადგენლის



თანამშრომლები სომხეთში გაიანე ნასოიანმა გააკეთა ეს განცხადება პრეს-კონფერენციაზე ხუთშაბათს. პროგრამა მიზნად ისახავს საფუძველი ჩაუყაროს სერტიფიცირებული თესლის ეფექტურ და სტაბილურ წარმოებას საკუთარი რესურსების საფუძველზე. 20-თვიანი პროგრამა განხორციელდება FAO-ს მიერ სომხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად და მას კოორდინაციას გაუწევს ვაჰან ამირხანიანი FAO-ს ერევნის ოფისის სახელით და მინისტრის მოადგილე გარნიკ პეტროსიანი სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელით, განაცხადა ნასოიანმა. ამირხანიანის თქმით, პროგრამის მიზანია პირველ რიგში ბოსტნეულის და კომერციული ნათესების სამეცნიერო ცენტრის გაფართოების შესაძლებლობების განვითარება და თესლის ადგილობრივი ჯიშების წარმოების გაზრდა. დღეს ცენტრი აკმაყოფილებს თესლზე მოთხოვნის დაახლოებით 5-7%-ს სომხეთში, 20-25% იმპორტირებულია და დანარჩენი ნაწილის წარმოების ქვეყანა უცნობია, განაცხადა ამირხანიანმა. პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი სათესლე წარმოების მოცულობა, სავარაუდოდ, გაიზრდება დაახლოებით 20%-ით, განაცხადა მან. პროგრამა ითვალისწინებს ასევე საჭირო აღჭურვილობის დანერგვას, დასძინა მან. 2005 წლის კანონი თესლის შესახებ სავარაუდოდ გადაიხედება, რათა დავიცვათ ადგილობრივი მწარმოებლების უფლებები და შევამციროთ ცუდი ხარისხის თესლის რაოდენობა ბაზარზე. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გარნიკ პეტროსიანმა შეხვედრაზე განაცხადა, რომ პროგრამა ხელს შეუწყობს ბოსტნეულის წარმოებას და შექმნის საიმედო საფუძველს გაზრდილი შემოსავლისთვის. პროექტი ხორციელდება, როგორც 2010-2014 წლის თესლის წარმოების პროგრამის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს ელიტური ხორბლის ჯიშების იმპორტის, ისე რომ 3 000-3 500 ტონა ელიტური ხორბლის განაწილება მოხდეს ფერმერებს შორის 2014 წლისთვის. სომხეთი მოიხმარს 650-720 000 ტონა მარცვლეულს ყოველ წელს, აქედან 435-450 000 ტონას საკვები მიზნებისათვის. დეფიციტი ივსება იმპორტით, რომელმაც შეადგინა 380-420 000 ტონა წელიწადში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

*ერევანი, 20 თებერვალი. / Arka*

#### **სომხეთში იმპორტირებულია 1,6 მილიონი კვერცხი 2014 წლის დასაწყისიდან**

2014 წლის დასაწყისიდან სომხეთში იმპორტირებულია დაახლოებით 1,6 მილიონი კვერცხი, განაცხადა სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა. News.am-ის თანახმად, ვაჰე დანიელიანმა განაცხადა, რომ 2013 წლის განმავლობაში დაახლოებით 17,7 მილიონი კვერცხი იყო იმპორტირებული და დასძინა, რომ 615,2 კვერცხი იქნა წარმოებული სომხეთში. "2012 წელს სომხეთში არ იყო იმპორტირებული კვერცხი და შემცირებული წარმოების ანაზღაურება უნდა მომხდარიყო," განაცხადა მან. წელს იმპორტის მოცულობა არ არის ძალიან მაღალი, თქვა ბატონმა დანიელიანმა და დასძინა, რომ მასშტაბური იმპორტი მოსალოდნელი არ არის 2014 წელს. "იმპორტიორთა რაოდენობა ასევე შემცირდა", დასძინა მან.

*The Poultry Site News Desk, 14.02.14*

## ტენდერები და განცხადებები

### გერმანულ-ქართული სამეცნიერო გრანტის სადოქტორო პროგრამა

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ინსტიტუტი აცხადებს მიღებას სადოქტორო სკოლაში „აგრარული მეცნიერებები“ დოქტორანტის პროგრამაზე, სპეციალობა - აგრონომია. კვლევის განმავლობაში დოქტორანტი ჩართული იქნება გერმანულ-ქართულ სამეცნიერო გრანტში „მდგრადი მიწათსარგებლობის სცენარის განვითარება დიდი კავკასიონის (საქართველო) ტერიტორიაზე“ (ფოლკსვაგენის ფონდი, გერმანია) და ისარგებლებს გრანტით გათვალისწინებული შეღავათებით: სწავლის დაფინანსება, სამეცნიერო კვლევითი ვიზიტების დაფინანსება გერმანიაში და სხვა ქვეყნებში. სადოქტორო სკოლის აპლიკანტებმა უნდა შეავსონ სარეგისტრაციო ფორმა 2014 წლის 9 მარტამდე და გააგზავნონ დოკუმენტებთან ერთად. ინფორმაცია მიღების და გამოცდების ჩაბარების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე შემდეგ ბმულზე: <http://agruni.edu.ge/ge/node/558> (დოქტორანტურა/ მიღება და გამოცდების ჩაბარება).

საკონტაქტო პირი: პროფესორი ნატო კობახიძე: [n.kobakhidze@agruni.edu.ge](mailto:n.kobakhidze@agruni.edu.ge)

### საგრანტო კონკურსი მომხმარებლების დახმარების ცენტრების დაფუძნების თაობაზე საქართველოს რეგიონებში

ქვემოთ იხილეთ ბმული გამოცხადებულ საგრანტო კონკურსზე მომხმარებლების დახმარების ცენტრების დაფუძნების თაობაზე საქართველოს რეგიონებში. ეს კონკურსი არის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სურსათის უვნებლობის და მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროექტის ნაწილი და მას ახორციელებს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი. განცხადების ტექსტი ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე -

<http://www.epfound.ge/english/whats-new/announcements/grant-competition-to-establish-consumer-assistance-centers-.html>

### გამოცემები და სხვა

#### PwC: სასოფლო-სამეურნეო მიწაზე შეზღუდვების ლიბერალიზაცია

PwC-მ გამოსცა უახლესი ბიულეტენი თემაზე: „სასოფლო-სამეურნეო მიწაზე შეზღუდვების ლიბერალიზაცია“. ბიულეტენის 2014 წლის 7 მარტის #2 გამოცემა იხილეთ ამ [ბმულზე](#).

[here](#)

#### საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი

ჩვენი წვერი Business & Finance Consulting (BFC) აქვეყნებს საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსურ ბიულეტენს საინტერესო თემებზე. 2014 წლის მარტის გამოცემას გაეცანით [ამ მისამართზე](#).

<http://agrogeorgia.blog.com/>

#### სურსათის უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო

Physikalisch-Technische Bundesanstalt-ს (PTB) და GIZ კერძო სექტორის განვითარების პროგრამა - სამხრეთ კავკასიის (PSD SC) ერთობლივი მხარდაჭერით გამოიცა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სახელმძღვანელო - თხილის ნაწილი. სახელმძღვანელო მოიცავს ინფორმაციას სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ ღირებულებათა ჯაჭვის ყველა მონაწილისთვის - ფერმერები, მოსავლის ამღებები, გადამამუშავებლები და მოიცავს ინფორმაციას ხარისხის ინფრასტრუქტურის დაწესებულებებში ყველა ფუნქციის და სამსახურის შესახებ. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#). [link](#)

#### DWV & AGRICULTURE

თუ ეძებთ ინფორმაციას იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც საქმიანობენ სოფლის მეურნეობის და კვების დარგებში, იხილეთ ინფორმაცია და ჩვენი წევრების საკონტაქტო მონაცემები ამ [ბმულზე](#).

[here](#)